გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №85

2023 წლის 15 მაისი
ქ. გორი

ქალაქ გორში, ჩოჩიშვილის ქუჩაზე (ჩოჩიშვილის ქუჩა №1 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ) ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

ქალაქ გორში, შოთა ჩოჩიშვილის ქუჩის მონაკვეთი, ჩოჩიშვილის ქუჩა №1 საცხოვრებელი კორპუსიდან ძმები რომელაშვილების ქუჩამდე წამოადგენს სიგანეში ვიწრო მონაკვეთს, ქუჩის ორივე მხარეს ავტოტრანსპორტის პარკირება ხელს უშლის ავტოტრანსპორტის მოძრაობას. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად, მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, ჩოჩიშვილის ქუჩაზე (ჩოჩიშვილის ქუჩა №1 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ) განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, ჩოჩიშვილის ქუჩაზე (ჩოჩიშვილის ქუჩა №1 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ) განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. ქალაქ გორში, ჩოჩიშვილის ქუჩაზე (ჩოჩიშვილის ქუჩა №1 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ) განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

* 218086087 *